და სასურველ გამოცემას დართვოდა გამომცემლების მომოხილვითი ხასიათის წერილი, რითაც მეტი გვეცოდინებოდა გამოცემული ტექსტის ისტორიისა და მისი ადრინდელი დაცულობის შესახებ. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სამუშაო დასრულებული და პუბლიკაციამდე მიყვანილი არ ჰქონდა; დედანიც არასასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამით უნდა აიხსნას ზოგიერთი ტექნიკური გაუმართაობა, რომელიც პუბლიკაციაში გვხვდება, თუმცა მისი რიცხვი დიდი არაა.

როდესაც საქართველოს საეკლესიო მიწათმფლობელობაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ აუვლით ისტორიის დოქტორის, აწ განსვენებული ახალგაზრდა მკვლევრის ნიკო ხუციშვილის შრომებს ამავე სფეროში. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომით „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში“ (დაიბეჭდა ორჯერ გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ) ცხადი ხდება, რომ იერუსალიმის აღნიშნულ მონასტერს, როდესაც ის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა და რეალურადაც ბერძენი ბერების ხელში იმყოფებოდა, საქართველოს თითქმის ყველა სამეფოსა და სამთავროში ჰქონდა მამულები და მეტოქი ეკლესიები. ამ გზით და ამ საშუალებით იერუსალიმის ეკლესია საქართველოში დიდძალ ქონებას ფლობდა, რის გამოც ამ ქვეყნიდან იერუსალიმში 1917 წლამდე იგზავნებოდა ფულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკმაო რაოდენობა. როგორც ქ-ნ ბაბილინა ლომინაძის, ისე ბ-ნ ნიკო ხუციშვილის ნაშრომები შეიცავენ პასუხს კითხვაზე: რამდენად მიზანშეწონილია და რეალური შუასაუკუნეების სამიწათმფლობელო სისტემის განახლებაზე ფიქრი?

ნუგზარ პაპუაშვილი

ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, „ახალი ივირონი“, თბ., 2007, 347 გვ., რედაქტორები: ღვთისმეტყველების კანდ., დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია და პროფ. ედიშერ ჭელიძე.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელდარ ბუბულაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი მათთვის, რომლებსაც საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხები აინტერესებთ. იგი ავტორია არა ერთი და ორი მონოგრაფიისა თუ სტატიისა, რომლებიც მეტწილად XIX-XX სს-ის საქართველოში რელიგიასა და ეკლესიასთან დაკავშირებულ ამბებს ეძღვნება და განიხილავს. მისი კვლევა-ძიების არსებითი ნიშანი არის მდიდარი წყაროთმცოდნეობი-

თი ბაზა, რომელშიც ბევრი პირველხარისხოვანი და მეცნიერებისათვის ჯერაც უცნობი, ანდა ნაკლებცნობილი მასალა მოიაზრება.

აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს სერიის „საეკლესიო ბიბლიოთეკის“ VIII ტომს, რომელიც მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის მხარდაჭერით დაისტამბა. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიამ უკვე რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია დააფინანსა და ქართული კულტურის ასპარეზზე ბევრ სხვა ინიციატივასაც გაუწია თანადგომა. ესაა სარწმუნოებისა და მამულიშვილობის იგივე კერა რუსეთის სახელმწიფოში, რომელიც იქ XVIII-XIX სს-ში მოქმედებდა და რომელმაც ისტორიაში სიტყვითაც და საქმითაც წარუშლელი კვალი დატოვა.

დასახელებული წიგნი შედგება წინათქმის, შესავალი ნაწილისა და რვა თავისაგან. წინათქმის ავტორია პროფ. ედიშერ ჭელიძე, რომელიც ელდარ ბუბულაშვილის მიერ დასახულ ამოცანას „საქართველოს სულიერი ისტორიის კვლევად“ მოიაზრებს, ხოლო მკვლევარსა და გამოკვლევას ასე ახასიათებს: „ღვთისმოშიშებითი კრძალულება და წყაროთმცოდნეობითი ამომწურაობა“, რაც ჩვენი აზრითაც ობიექტური შეფასებაა.

გამოკვლევაში მასალა განაწილებულია თემატურად: ძველი აღთქმის სიწმინდე ელიას ხალენი; მაცხოვრის, ღვთისმშობლის, მოციქულების, წმ. ნინოს, ასურელ მამების, წმ. გიორგისა და ეკლესიის მამების სახელებთან დაკავშირებული სიწმინდეები. ნაშრომი დაფუძნებულია როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან წერილობით წყაროებზე, ასევე არქეოლოგიურ მასალასა და ზეპირსიტყვიერ გადმოცემებზეც. უცხოენოვანი წყაროებიდან ყველაზე მეტ ინფორმაციას შეიცავს XVII-XIX სს-ის რუსული წერილობითი ძეგლები (დიპლომატ-მოგზაურთა ჩანაწერები). მათ გვერდით დგას ამავე პერიოდის იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიათა წარმომადგენლების „მოგზაურობანი“. ასაკით უფრო ძველია (XIV-XVIII) და მრავალფეროვანიც ევროპელი ავტორების (კათოლიკე მისიონერების, დიპლომატებისა და ვაჭრების) ლიტერატურული მემკვიდრეობა.

აღნიშნულ წყაროებში სხვა ისტორიულ ცნობენბთან ერთად ვხვდებით ცნობებს საქართველოში დაცულ და პატივდებულ სიწმინდეებზე, რომლებიც ამ ცნობების ავტორებმა ან საკუთარი თვალით ნახეს, ანდა სხვადასხვა გზით რაღაც მოისმინეს და გაიგეს მათ შესახებ. ეს ცნობები ავსებენ და ამდიდრებენ ძველი ქართული საისტორიო და სასულიერო მწერლობის იმ უბანს, რომელსაც შეიძლება „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთმეტყველება“ ვუწოდოთ. თუ რამდენად მდიდარი და წარმ-

ტაცია ეს უბანი, დარწმუნდება ყველა, ვინც დასახელებულ წიგნს გულდასმით წაიკითხავს.

ე. ბუბულაშვილის ნაშრომში თავმოყრილი, დაჯგუფებული და გაანალიზებულია ყველა მასალა, რომელიც ამ უბანს რაღაც თვალსაზრისით მაინც უკავშირდება. ამ მოტივით შესწავლილი და დამუშავებულია არა მარტო ძველი ქართული ლიტერატურა (ფართო აზრით), ე. ი. დოკუმენტები და ნარატიული ტექსტები, არამედ ახალი და თანამედროვე ეპოქის სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები როგორც ქართული, ისე (შეძლებისდაგვარად) უცხოენოვანი. მასალის სრულფასოვნად შეკრებადობისა და წარმოჩენის თვალსაზრისით და ანალიზის მასშტაბითაც ეს ნაშრომი პროფ. ლევან მენაბდის „ძველი ქართული მწერლობის კერების“ ცნობილ ორტომეულს უახლოვდება. მკითხველი აქ თითქმის ყველა იმ ინფორმაციას და ბიბლიოგრაფიულ მითითებას მოიპოვებს, რაც ამა თუ იმ სიწმინდეს, ქართულ სინამდვილესთან კავშირში მყოფს, შეეხება. ვამბობთ თითქმის, რადგან მაინც მოიპოვება ისეთი მასალა, რომელსაც ამ წიგნში უნდა ეპოვა ადგილი, მაგრამ ვხედავთ, რომ ვერ მოუპოვებია (შესაძლებელია, ობიექტური და ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზით). ასეთია, მაგალითად, ამ სტრიქონების ავტორის სტატია „უფლის ფერხის ფიცარი და სამსჭვალი“, რომელიც განსახილველი წიგნის დასტამბვამდე გამოქვეყნდა („ლიტერატურული საქართველო“, 2006, 1.XII, №43 გვ. 13).

ისე როგორც ნებისმიერი სიძველის (წიგნის, ხატისა თუ საეკლესიო ჭურჭლის) ისტორია განუყოფელი ნაწილია იმ ქვეყნის ისტორიისა, რომელსაც ის ეკუთვნის, ანდა რომელშიც მას უმოგზაურია, საქართველოს სიწმინდეთა თავგადასავალიც საქართველოს თავგადასავლის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგება. ამის გამო ამ სიწმინდეთა ისტორიის დეტალების შესწავლა საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ დეტალის შესწავლასა და შევსებასაც გულისხმობს. ეს ისტორია, ამასთანავე, დიდწილად საქართველოს საზღვრების გარეთ არსებულ სივრცეებსაც მოიცავს და, მაშასადამე, იგი მეზობელი ქვეყნების (რომის იმპერია, ბიზანტია, სომხეთი, რუსეთი) წარსულის შესწავლისთვისაც საჭირო მასალას წარმოადგენს. თამამად და მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ შუასაუკუნეების საქრისტიანოს ისტორიის მკვლევარი ამ წიგნში არაერთ პირველხარისხოვან ფაქტსა თუ ცნობას ამოიკითხავს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იმ სიწმინდეების ისტორიები აღგვიძრავს, რომელთა საქართველოში, გნებავთ ქართველთა სარწმუნოებრივ-კულტურულ ველში, მოხვედრა დაკავშირებულია ბიზანტიის დრამატულ ამბებთან და კატაკლიზმებთან. ლაპარაკია როგორც ამ ქვეყნის საეკლესიო სივრცეში მომხდარ ამბებსა და კატაკლიზმებზე,

ისე მისი სახელმწიფოებრივი არსებობის დასასრულზე; როგორც ერესების მძვინვარებასა და მათთან ბრძოლაზე, ისე კონსტანტინოპოლის დაცემაზე, რის შემდეგ და რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში წმინდა საგნების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. კარის ღვთისმშობელი, ღვთისმშობლის შესამოსელნი, ბიზანტიელ წმინდანთა ნაწილები და სხვანი, რომელთა შესახებ წიგნი დიდძალ და მრავლისმეტყველ ინფორმაციას გვთავაზობს, ბიზანტიის ისტორიის არა ერთსა და ორ დრამატულ მოვლენასთან არის დაკავშირებული.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგიერთი ზემოთ ნაგულისხმევი კატაკლიზმისა და ტრაგიკული მოვლენის გამომწვევი მიზეზი ქრისტიანთა ღვთისმოსაობის კარდინალურ და, შეიძლება ითქვას, ბოლომდე ჯერაც გადაუჭრელ პრობლემას უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი დრამატული ფურცელი: ხატმებრძოლეობა და მისი გამომწვევი მიზეზები. ეკლესიის ისტორიკოსები არ დავობენ იმაზე, რომ ეს მოვლენა, ხატებისა და წმინდანთა ნაწილების შეძულება, ხატებისადმი და, ზოგადად, წმინდა (საკრალური) საგნებისადმი ანუ რელიქვიებისადმი მორწმუნეთა გადამეტებულმა, ზოგიერთ შემთხვევაში ზღვარგადასულმა და კერპთაყვანისმცემლობაში გადაზრდილმა სიყვარულმა გამოიწვია. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების განსწავლულ და განბრძნობილ წინამძღვრებს მორწმუნეებისათვის ამ გზაზე ზომიერებისაკენ მოეწოდებინათ და გაეფრთხილებინათ ისინი: არ შეიძლება, რომ ხატებს და სხვა წმინდა საგნებს „ღვთის სადარი თაყვანი“ მივაგოთ, რათა ქრისტიანთა ღვთისმსახურება კერპთმსახურებას არ დაემსგავსოს (მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებები და კანონები). ამიტომ: როდესაც მკვლევარი ამა თუ იმ ერის სიწმინდეთმეტყველებაზე საუბრობს და ამ საგნის მონოგრაფიულად შესწავლას ისახავს მიზნად, სასურველია, ამ კონტექსტში კათოლიკე ეკლესიის, ასე ვთქვათ, გამაფრთხილებელ მოწოდებასაც შეეხოს, მით უმეტეს, თუკი მისი ნაშრომის სტრუქტურა ზოგადთეორიული საკითხების განხილვის საშუალებასაც იძლევა. განსახილველი წიგნის თემატიკა ავტორს ასეთი პრობლემების წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ მათ მიმართ ყურადღება გამახვილებული არაა. არადა, ჩვენს შემთხვევაში და ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესის გამოჩენას და მათ საგანგებოდ შესწავლას თანამედროვე ვითარებაც გვკარნახობს, რადგან ეს ვითარება ხშირად (და ერთობ თვალშისაცემად) სიწმინდეებისადმი ზომიერებას გადაცილებული თაყვანისცემითაა აღბეჭდილი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ

ეს ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევაა, რომელიც შესაბამისი დარგის მკვლევართა გამოხმაურებას ელოდება.

მსგავსი ნაკლოვანება (თუკი ეს ნაკლოვანებაა) უმნიშვნელოა იმ ღირსებასთან შედარებით, რაც ამ წიგნს აქვს. ესაა, პირველ რიგში, გზამკვლევის ფუნქცია; გზამკვლევისა იმ სამყაროში, რომლის სიმდიდრე და სიუხვე არა მარტო საქართველოს ნივთიერი და სულიერი სალაროს საკუთრებაა, არამედ ქრისტიანული მსოფლიოს ანალოგიური სალაროსა და ისტორიის განუყოფელი ნაწილიც. სასიამოვნოა, რომ ეს ნაშრომი ინგლისურად ითარგმნა და გამოიცა: E. Bubulashvili, Holy Relics of the Church of Georgia, Tbilisi 2011.

იმედი გვაქვს, რომ ავტორი სიწმინდეთმეტყველების მიმართულებით კვლევა-ძიებას გააღრმავებს და მისი ეს ნაშრომი მკითხველთა ფართო წრეს შევსებული და განახლებული რედაქციითაც მიეწოდება.

ნუგზარ პაპუაშვილი

ალექსი ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ., 2005, 1179 გვ.

ალექსი ჭინჭარაული ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია როგორც ფართო დიაპაზონის ფილოლოგი მკვლევარი. ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, ფოლკლორისტიკა, ტექსტოლოგია, რუსთველოლოგია – ეს ფილოლოგიური ცოდნის სფეროთა არასრული ჩამონათვალია, სადაც უმოღვაწია და შთამბეჭდავი კვალიც დაუტოვებია მეცნიერს, მაგრამ მისი მოღვაწეობის გვირგვინს მაინც ის ათასზემეტგვერდიანი წიგნი წარმოადგენს, რომელიც მან თავისი დაბადების 80 წლის თავზე გამოსცა. ალექსი ჭინჭარაულის იუბილე ფართოდ არ აღნიშნულა, თვით იუბილარმა კი უძღვნა მშობლიურ ხალხს, თავის მშობლიურ კუთხეს და მეცნიერებას უძვირფასესი საჩუქარი – ამ დარგში უსწორო და უანალოგიო „ხევსურული ლექსიკონი,“ რომელიც მისი ნახევარსაუკუნოვანი დაუღალავი შრომის შედეგადაა შექმნილი. თუმც წიგნს ყდაზე „ხევსურული ლექსიკონი“ აწერია, მაგრამ იგი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს სათაური გულისხმობს: ეს არის საქართველოს ერთი ძირძველი კუთხის ნამდვილი ენციკლოპედია, სადაც ყველაფერია ხევსურეთის, ხევსურების და ხევსურულის შესახებ. ამ წიგნის მფლობელი სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი აქ იპოვის სრულფასოვან პასუხს ნებისმიერ კითხვაზე, რაც შეეხება თვით ხევსურეთს, როგორც საქართველოს ერთ ეთნოგრაფიულ ერთეულს, მის საზოგადოებრივ თუ სამეურნეო ყოფა-საქმიანობას, სახალხო წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს და, რაც მთავარია, ქართული საერთო სახალხო